თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1508073

ნომერი: AR1249956

თარიღი : 10.09.2014

გაცემის თარიღი : 01.10.2014

გაცნობის თარიღი : 01.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ყურაშვილი პ/ნ 01010019492
- საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ., კორპ. 3ა

ორგანიზაცია:

- შპს იმედი 95 კოდი: 204856012

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 06 იანვრის #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 10 სექტემბერს #AR1249956 განცხადებით მომართა შპს „იმედი–95“–ის დირექტორმა ლევან ყურაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 06 იანვრის #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 06 იანვარს #01.14.02.009.001 (9543 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებულ იქნა #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი ვაკე), ნუცუბიძის IV მ/რ–ში, (ნაკვეთი #009/001)–ში, შპს „იმედი–95“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 17 მარტიდან 2012 წლის 17 იანვრის ჩათვლით. ხოლო, სამსახურის 01.10.2014 წლის #1501380 ბრძანებით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადდა სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანება.

დღეის მდგომარეობით განმცხადებელს აღარ გააჩნია აღნიშნული პირობების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. შესაბამისად, იგი ითხოვს სამსახურის 2011 წლის 06 იანვრის #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან განმცხადებელს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და ამასთან, სამსახურის 01.10.2014 წლის #1501380 ბრძანებით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანება, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 06 იანვრის #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლევან ყურაშვილის 2014 წლის 10 სექტემბრის #AR1249956 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 06 იანვრის #25 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.